ოქმი:**ო63. 63231563**
თარიღი:**05/06/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 11

ქ. სამტრედია. 1 ივნისი, 2023 წელი.

2023 წლის 1 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, დავით ჯანელიძე მ.შ. ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, გ.არველაძე მ.შ.

ასევე სხდომას ესწრებოდა - საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.

საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე, ნ.ჯამბურია/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N8-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №g-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

5. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისთვის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

6. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს

თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. **სხვადასხვა.**

კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ნუგზარ ჯამბურიამ ბიუროს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 მაისის** N62 6223142146 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“-ს სუბსიდიის გეგმაში ცვლილების შეტანის საკითხს, კერძოდ: საკუთარი შემოსავლების გეგმა იზრდება 21.00 ათ.ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება ხარჯების მუხლში, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 21.00 ათ.ლარით.

ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, სხვა საქონელი და მომსახურებაში კულტურულ, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების მუხლში თანხა მცირდება 4.05 ათ.ლარით და შესაბამისად თანხა იზრდება სხვა ხარჯების მუხლში, სხვა დანარჩენი მიმდინარე ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 4.05 ათ.ლარით. ზემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაციიდან, ფრენბურთის უკეთ განვითარებისათვის და ხელშეწყობისთვის.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 მაისის** N 62-6223142145 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ,,მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლი“-ს სუბსიდიის გეგმაში შიდა მუხლობრივ ცვლილებას და გეგმის მოწესრიგებას. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის მუხლში თანხა მცირდება 0.2 ათ.ლარით და

შესაბამისად სოციალური უზრუნველყოფის მუხლში თანხა იზრდება 0.2 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო, **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინიტროს 2023 წლის 22 მაისის** N01/1003 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2023 წლის 10 მაისის N36 სხდომის ოქმიდან ამონაწერს. კერძოდ, სამთავრობო კომისია გამოთქვამს თანხმობას, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობას, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), მიენიჭოს რევაზ სალაყაიას სახელი.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობას, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), მიენიჭოს რევაზ სალაყაიას სახელი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო, **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინიტროს 2023 წლის 22 მაისის** N01/1003 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისთვის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, 2020 წლის 27 მარტს, საკრებულოში ინიციატივით შემოვიდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“. ფრაქციის წევრთა ერთობლივი მსჯელობით მოწონებულ იქნა ზემოაღნიშნული ინიციატივა, თუმცა პანდემიის გამო ვერ მოხდა მისი განხორციელება. 2022 წლის 28 ოქტომბერს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 26 სექტემბრის N62-6222269133 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხებოდა ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე

მოედნისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭებას. საკითხი მოწონებული იქნა კომისიის მიერ და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნა სახელდების სამთავრობო კომისიას. კომისიიდან მივიღეთ დადებითი დასკვნა, რაც საშუალებას გვაძლევს საკითხი გავიტანოთ საკრებულოზე დასამტკიცებლად. განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ მოამზადა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის საფუძველზე ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ, მდებარე მოედანს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) მიენიჭოს ნიკო ნიკოლაძის სახელი.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიამ.

ნუგზარ ჯამბურია - მადლობა ყველას, მერიას და საკრებულოს, ვინც ამ წლების განმავლობაში ასე ერთსულოვნად იყვნენ მოწოდებული იმისათვის, რომ ჩვენი ღირსეული წინაპარის, პირველი მეცენატის, საზოგადო მოღვაწის, ყველა სფეროში განათლებული და წარმატებული ადამიანის სახელი მინიჭებოდა რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედანს. წინა მოწვევის საკრებულოს მუშაობის პერიოდში ვერ მოხერხდა აღნიშნული საკითხის ბოლომდე მიყვანა, მე-4 მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ, რამდენიმე გასვლითი სხდომა ჩაატარა იმ უბანში რა თქმა უნდა ოპოზიციასთან ერთად, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო ვერ მოხდა მისი განხორციელება. დღეს ამ საკითხს წერტილი დაესვა. მივიღეთ თანხმობა სამთავრობო კომისიიდან, რომლის შემდგომი ეტაპია განკარგულების პეროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება. იმედი მაქვს საკითხი საკრებულოს სხდომაზე, საბოლოოდ დადებითად გადაწყდება.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ირაკლი მელაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 27 აპრილის** N 62-622311754 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ანგარიშს, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

საკითხი განიხილა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიამ.

დაადგინეს: ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ, მიღებულია ცნობად.

კენჭისყრის შედეგად (10 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ჯანელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 03, 05 და 08 მაისის** N 62-6223128107,

N :62-622312571, N 62-622312377 წერილობითი მომართვები, რომელიც ეხება, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის მოწონების საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად მოწონებულ იქნას, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტი (დანართი №1 თან ერთვის).

დანართი №1

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად,

სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის შესახებ.

№	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება (ლარი)		შენიშვნა (რეგიონალური ფონდიდან მოთხოვნილი თანხა)
		სულ	მ.შ თანადაფინანსება	
	1	2	3	6
1	პაპავასა და მაიაკოვსკის მე-2 ჩიხს შორის არსებული ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია	13,666.00	13,666.00	0
2	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ხარებავების ქუჩის ბოლოს არსებული დაზიანებული ხიდ ბოგირის რეაბილიტაცია	33,709.00	33,709.00	0
3	მანჯგალაძის ქ. N43-ის მიმდებარედ რკ. ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა	34,329.00	34,329.00	0
4	შუა ბაშში ინეზა კიკვიძის ჩიხის მახლობლად რკ. ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა.	21,263.00	21,263.00	0
5	შუა ბაშში მეორე ეწრის მიმართულებით მიმავალ გზაზე I ჩიხში ასფალტ -ბეტონის საფარის მოწყობა.	54,103.00	54,103.00	0
6	თამარ თავაძის ქუჩის გადასახვევიდან ამირან ბახტაძის ქუჩაზე სოკარის ნავთობსაცავამდე ასფალტ - ბეტონის საფარის მოწყობა.	500,125.00	25,007.00	475,118.00
7	სოკარის ნავთობსაცავის მიმდებარედ ძმები გოგიების ქუჩაზე მდ. ლოღობაზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია.	99,416.00	4,971.00	94,445.00
8	ამირან ბახტაძის ქ. N161 და N162-ის მიმდებარედ ახალი მილის მოწყობა.	25,872.00	25,872.00	0
9	ბახტაძის ქუჩის N15 და N17 -ის მიმდებარედ არსებულ ხიდზე მოაჯირის მოწყობა.	10,852.00	10,852.00	0
10	ოდილავაძის ქუჩის გაგრძელებაზე და სუხიშვილის ქუჩის მე-3 ჩიხის მოხრეშვა.	13,611.00	13,611.00	0
11	სოფ. ნინუაკუთხეში ე.წ. ,,კოტურაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	7,293.00	7,293.00	0
12	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ,,კოტურაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	5,241.00	5,241.00	0
13	სოფ. ჩხენიშში ე.წ. ,,აეროდრომის" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	13,711.00	13,711.00	0
14	სოფ. ნაბაკევში ე.წ. ,,ბუკნარაში" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	2,917.00	2,917.00	0

15	ოფეთის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ჭიაფერას" საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	52,513.00	52,513.00	0
16	საჯავახოს ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ორპირის" უბანში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	20,422.00	20,422.00	0
17	ბაშის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ბაშურის" სასოფლო სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	29,174.00	29,174.00	0
18	გომის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,ტაბაკაში"საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	74,686.00	74,686.00	0
19	გომის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,კეჭნარაში"საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	65,642.00	65,642.00	0
20	გომის ადმ. ერთეულში მეორე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	61,266.00	61,266.00	0
21	საჯავახოს ადმ. ერთეულში ე.წ. ,,რეჭეს" უბანში გზის მოხრეშვა.	7,244.00	7,244.00	0
22	გამოჩინებულის ადმ. ერთეულში ე.წ. ,,დიხაშხოს"ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა.	32,091.00	32,091.00	0
23	საჯავახოს ადმ. ერთეულის სოფ. ჭოგნარში ბეტონის გზის გასწვრივ რკ/ბეტონის მონოლითური კუევიტის მოწყობა.	64,891.00	3,245.00	61,646.00
24	ყოფილი ,,დათვის კალონკის" მიმდებარედ საყანე ფართობებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა	62,551.00	62,551.00	0
25	ქ. სამტრედიაში, კოსტავას ქუჩაზე N7-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა.	89,071.00	4,454.00	84,617.00
26	ქ. სამტრედიაში, წერეთლის ქუჩის N1 ბინის სამხრეთ მხარეს არსებული სკვერის რეაბილიტაცია.	154,294.00	7,715.00	146,579.00
27	ქალაქ სამტრედიაში, რობაქიძის ქუჩაზე და რობაქიძის ქუჩის მე-3 ჩიხში მდებარე მინისტადიონის რეაბილიტაცია.	79,070.00	4,162.00	83,232.00

დავით ჯანელიძემ აღნიშნა, რომ ,,მინდა თქვენამდე მოვიტანო დავით აღმაშენებლის სახელობის ქუჩის მოსახლეობის და პირადად ჩემი გულისტკივილი. საქმე ეხება აღნიშნულ ქუჩაზე ტროტუარების და სანიაღვრე არხების მოწყობას. ეს პრობლემა წლების განმავლობაში არსებობს. საკრებულოს სახელით მივმართოთ საგზაო დეპარტამენტს, რომ იქმნება სავალალო და სახიფათო მდგომარეობა მოსახლეობისთვის, საჭიროა ამ პრობლემის დროული მოგვარება''.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, დავით ჯანელიძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 21 თებერვლის** N62-622305282 წერილობითი მომართვა, რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხს.

საკითხი განიხილა ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის

სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ. არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობა (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ უღრელიძის, განცხადება, რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, კუთვნილ ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას 2023 წლის 12 ივნისიდან.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, მერაბ უღრელიძესთან, 2023 წლის 12 ივნისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, საფინანსო-საბიუჯეტო, საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს საკრებულოს წევრს, გოჩა არველაძეს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მანანა სირბილაძემ, ბიუროს წევრებს გააცნო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის, განცხადება. განმცხადებელი ითხოვს 2023 წლის 10 ივნისიდან კუთვნილ, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლას.

საკითხი განიხილა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარესთან, ტარიელ დვალიშვილთან, 2023 წლის 10 ივნისიდან შეჩერდეს სამსახურეობრივი ურთიერთობა, ანაზღაურებადი შვებულების ვადით, 24 სამუშაო დღით.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარესთან, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების გამო, ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დაევალოს, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს, ლიზა კრავეიშვილს.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (9 ხმით), საკითხი შევიდა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 5 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე, ნ.ჯამბურია/

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის'' 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №-63.632235522 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი''-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის №-63.632235510 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ნაბაკევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩხენიშში მდებარე შენობა-ნაგებობისთვის, რომელშიც განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334), რევაზ სალაყაიას სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

5. ქალაქ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩაზე, რკინიგზის სადგურის წინ მდებარე მოედნისთვის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.08.56.073) ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

6. ინფორმაცია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის მიერ, 2022 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის აპრილის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ი.მელაშვილი/

7. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების

შესაბამისად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი 27 პროექტის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხენიშში მდებარე 100.00 კვ.მ არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული №1 რევაზ სალაყაიას სახელობის შენობა-ნაგებობის (შენობა-ნაგებობის საერთო ფართი 82.01 კვ.მ), მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.03.52.334, სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

/მომხსენებელი: ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ტ.ცომაია/

9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება''-ს თავმჯდომარესთან, ანაზღაურებად შვებულებაში გასვლის გამო, სამსახურეობრივი ურთიერთობის შეჩერების შესახებ.

/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/

11. **სხვადასხვა.**

ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომა გაიმართება 2023 წლის

5 ივნისს, 11^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი